ჩემი ლოცვა

ისლამის მეორე პირობა

ნეტარ არიან მორწმუნენი! ისინი, ვინც თავიანთი ლოცვისას მოკრძალებულნი არიან.

(ყურანი 23:1-2)

ლოცვა არის ისლამის ერთ-ერთი ფუნდამენტალური ბურჯი

ლოცვა არის თაყვანისცემის აქტი, რომელიც ალლაჰმა სავადებულოდ დააწესა. როდესაც ლოცვა არ იქნება, არ იქნება ისლამიც. ლოცვა სავალდებულო გახდა ყველა მუსლიმისთვის, ალლაჰის შუამავლის ამაღლების შემდეგ მირაჟის ღამეს.ლოცვა არის პირველი საქმე, რითაც განიკითხება მორწმუნე განკითხვის დღეს, როგორც ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: **განკითხვის დღეს, პირველი საქმე რითაც ალლაჰის მსახური განიკითხება არის ლოცვა. თუ ის სრულყოფილად არის შესრულებული მაშინ გადარჩება, თუ არასწორად არის შესრულებული, მაშინ წაგებულთა შორის იქნება** (თირმიმი 413)

ჩვენ კი ვთხოვთ ალლაჰს გულწრფელი სურვილით, რომ მიიღოს ჩვენგან ჩვენი შესრულებული ლოცვები და გაგვხადოს იმათთაგანი ვისზეც შემდეგ აიათი ვრცელდება:

...ალლაჰი მხოლოდ ღვთისმოშიშისგან შეიწყნარებს. (მაიდე 5:27)

ყოველდღიური 5 ლოცვის სახელები

ფაჯრი

დილის ლოცვა
სრულდება გამთენიისას მზის ამოსვამდე. შეიცავს ორ მუხლ სუნნას და ორ მუხლ ფარძს.

ზუჰრი

შუადღის ლოცვა
ლოცვის შესრულების დრო მაშინაა, როცა მზე ზენიტშია. ლოცვა იყოფა 4 სუნნა, 4 ფარძი, 2 სუნნა

ასრი

სამხრობის ლოცვა
სრულდება შუადღევსა და საღამოს შორის. ლოცვა არის 4 მუხლი ფარძი

მაღრიბი

საღამოს ლოცვა
ლოცვის შესრულების დრო დგება მზის ჩასვლიდან, შეიცავს; 3 ფარძი, 2 სუნნა.

იშა

ღამის ლოცვა
ლოცვის დრო დგება შებინდების შემდეგ დილის ლოცვამდე, თუმცა უკეთესია ლოცვა თავის დროზე შერულდეს დროულად

დროული ლოცვა

ალლაჰი ამბობს: ***"ლოცვა ევალებათ მორწმუნეებს განსაზღვრულ დროს." (ნისა 4:103)***

გახსოვდეს, რომ თავის დროზე ნალოცი ყველაზე კარგი ქმედებაა, და არ შეიძლება ლოცვის გაჭიანურება მიზეზის გარეშე

გამოტოვებული ლოცვები

ლოცვის განზრახ გამოტოვება დიდი ცოდვაა; გამოტოვებული ლოცვა უნდა შესრულდეს გახსენებისთანავე. ნებისმიერი გამოტოვებული ლოცვა ისე სრულდება, როგორც უნდა შესრულებულიყო თავის დროზე.

ლოცვის კალენდარი

რეკომენდებულია, რომ წლის განმავლობაში ლოცვის დროისთვის თვალყური ადევნოთ ლოცვის კალენდარს სადაც შედგენილია ყოველწლიური ლოცვის გრაფიკი

სავალდებულო და სუნნა ლოცვები

ქვემოთ მოცემულია თითოეულ ლოცვასთან დაკავშირებული სავალდებულო და სუნნა ლოცვების რაოდენობა. მონიშნული უჯრები სავალდებულოა

სუნნა ლოცვების შესრულება რეკომენდებულია და ადამიანი დიდ ჯილდოს მიიღებს მათი შესრულებისთვის.

ლოცვა	მანამდე (სუნნა)	სავალდებულო	შემდეგ (სუნნა)
ფაჯრი	2	2*	————
ზუჰრი	2 + 2	4	2 ან (2 + 2)
ასრი	2 + 2	4	————
მაღრიბი	2	3*	2
იშა'	2	4*	2

* ვარკვლავით მონიშნული თითოეული ლოცვის პირველი ორი მუხლის დროს ყურანი ხმამაღლა უნდა წაიკითხოთ. წაიკითხოთ.

განბანვა და განწმენდა - ტაჰარა

ალლაჰის სიტყვა

ჭეშმარიტად, ალლაჰს უყვარს მომნანიებელნი და უყვარს განწმენდილები!(ბაყარა: 222)

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა:

ყოველი ადამიანი მიიღებს თავისი განზრახვის მიხედვით…
(ბუხარი 1)

განწმენდა ისლამში ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ლოცვის დაწყებამდე ადამიანმა უნდა განწმინდოს როგორც თავისი განზრახვა, ასევე სხეული და ტანსაცმელი.

ჰიგიენა და სისუფთავე მუსლიმანის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ასპექტებია. ადამიანმა უნდა უზრუნველყოს, რომ მისი სხეული, ტანსაცმელი და ლოცვის ადგილი თავისუფალი იყოს ისეთი ნივთიერებებისგან, როგორიცაა შარდი, ფეკალიები და სხვა უწმინდურობისგან. საპირფარეშოში შესვლის შემდეგ რეკომენდებულია ინტიმური ადგილების წყლით დაბანა.

ცოლ-ქმარს შორის ინტიმური ურთიერთობის, ეაკულაციის (სველი ძილის გამო) და ქალის პერიოდის ან მშობიარობის შემდგომი სისხლდენის დასრულების შემდეგ, სავალდებულოა სხეულის სრული დაბანა, რომელიც ღუსლის სახითაა ცნობილი.

განზრახვა - ნიათ

ისლამში ყველა რიტუალი მოითხოვს სუფთა ზრახვებს ნებისმიერი საქმის შესრულებამდე, სუფთა ზრახვა ნიშნავს -, რომ გქონდეს ალლაჰის კმაყოფილების ძლიერი სურვილი. გახსოვდეს, რომ გულები არის ზრახვების ჭურჭელი.

ვუდუს მნიშვნელობა

აბუ ჰურაირა გადმოსცემს რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: ალლაჰი არ მიიღებს არავის ლოცვას თუ მას აქვს ჰადასი (აბდესი მომშლელი ფაქტორები) სანამ არ აიღებს აბდესს. (ბუხარი 6954)

ვუდუს (აბდესის) სიძვირფასე

შუამავალმა მუჰამმადმა თქვა:“როდესაც მუსლიმი ან
მორწმუნე მსახური აბდესს აიღებს და სახეს ჩამოიბანს მას
 წყალთან ანწყლის ბოლო წვეთთან ერთად
ჩამოცილდება სახიდან ყველა ის ცოდვები რაც ჩაიდინა თვალებით.
როდესაც ხელებს დაიბანს მას წყალთან ან წყლის ბოლო
წვეთთან ერთად ჩამოცილდება ყველა ცოდვები
რაც ჩაიდინა ხელებით და ასე განიწმინდება იგი ცოდვებისაგან.”
(მუვატტა, ტაჰარა, 6;თირმიზი, ტაჰარა, 2.)

აბდესის აღებამდე

საპირფარეშოში წასვლა (თუ არის ამის საჭიროება). საპირფარეშოს
შემდეგ უნდა დაიბანო წყლით ვიდრე აბდესს (ვუდუს) აიღებ.

მოსაწონია თუ გამოიყენებ მისვაქს აბდესის აღებამდე.

აბდესის აღებამდე ყურადღება მიაქცის შენს განზრახვას.

როგორ ავიღოთ აბდესი?
მივყვეთ ნაბიჯ-ნაბიჯ

ნაბიჯი 2

3X

კარგად
დაიბანეთ
ხელები
სამჯერ

ნაბიჯი 3

3X

გამოივლე პირი სამჯერ (X3). მარჯვენა ხელით მცირე რაოდენობის წყალი, გამოივლე და შემდეგ გადმოანერწყვეთ.

ნაბიჯი 4

3X

მარჯვენა ხელით რაც შეიძლება ღრმად შეისუნთქეთ წყალი ნესტოებში, შემდეგ კი მარცხენა ხელით გამოდევნეთ. ეს გაიმეორეთ სამჯერ (X3)

ნაბიჯი 5

X3

დაიბანეთ სახე შუბლიდან ნიკაპამდე, მარცხენა ყურის ბიბილოდან მარჯვენა ყურის ბიბილომდე, (X3)

ნაბიჯი 6

X3

დაიბანეთ ორივე ხელი
იდაყვებამდე. დაწყეთ
მარჯვენა ხელით.

ნაბიჯი 7

X1

გადაისვით თავზე სველი ხელი
წინიდან უკან და პირიქით. (X1)





აბდესის აღების შემდეგ თქვით:

შუამავალმა თქვა: მუსლისთვის, რომელიც აიღებს ვუდუს და იტყვის ' აშჰადუ ალლა ილაჰა ილლა ლლაჰ ვა აშ-ჰადუ ანნა მუჰამმადან 'აბდუჰუ ვა რასუულუჰ ' სამოთხის რვავე კარი გაიხსნება და რომლიდანაც ისურვებს იქიდან შევა. (იბნ მაჯა 470)

მესჰი (ნასკზე ან ფეხსაცმელზე სველი ხელის გადასმა)

ფეხების დაბანის ნაცვლად ტყავის (სქელი) წინდებზე სველი ხელის გადასმა დაშვებულია იმ პირობით, რომ წინდები ჩაიცვათ აბდესის შემდეგ, ფეხების დაბანის ჩათვლით.

ეს დაშვებულია აბდესის შემდეგ 24 საათის განმავლობაში და 3 დღის განმავლობაში თუ ადამიანი მგზავრობაშია. ამ დროის შემდეგ აბდესის აღებისას ფეხები უნდა დაიბანოთ და მესჯის პერიოდი თავიდან იწყება.

ანალოგიურად, თუ სხეულის რომელიმე ნაწილზე არის ჭრილობა, და ამ კონკრეტული ადგილის დაბანა განკურნებამდე საზიანოა, დასაშვებია ჭრილობის სახვევზე სველი ხელის გადასმა.
რა შლის აბდესს?

აბდესს შლის შემდეგი ფაქტორები:

1. გაზებზე გასვლა
2. საპირფარეშოს შემდეგი
3. ჩაძინება
4. გონების დაკარგვა ან ინტოქსიკაცია
5. ინტიმურ ადგილზე ხელითა და თითებით შეხება ბარიერის გარეშე. (ე.ი შიშველზე)
6. ცოლ-ქმარს შორის ინტიმური ურთიერთობა ან ეაკულაცია. ამ სიტუაციაში საჭიროა სხეულის სრული დაბანა რაც ღუსლითაა ცნობილი.

თუ ადამიანს ეჭვი ეპარება მოეშალა თუ არა აბდესი, მაშინ მისი აბდესი ეჭვის საფუძველზე არ იშლება სანამ არ დარწმუნდება აბდესის მოშლაში.

შენიშვნა:
მენსტრუალური ციკლის ან მშობიარობის შემდგომ ქალმა არ უნდა ილოცოს, სანამ სისხლი ჩანს. და გამოტოვებული ლოცვების აღდგენა აუცილებელი არ არის.

ლოცვა - სალათ

სანამ ლოცვას დაიწყებ:

ლოცვის დაწყებამდე უნდა დარწმუნდეთ, რომ აკმაყოფილებთ შემდეგ მოთხოვნებს:

1. სწორი ტანსაცმელის ჩაცმა.

ლოცვის დროს მამაკაცმა სხეულის წინა და უკანა ნაწილი ჭიპსა და მუხლებს შორის, ასევე მხრები უნდა დაიფაროს. ტანსაცმელი უნდა იყოს ფართე და გაუმჭვირვალე.

2. ქალმა უნდა დაიფაროს მთელი სხეული, გარდა ხელებისა და სახისა. ტანსაცმელი უნდა იყოს ფართე და გაუმჭვირვალე.

სხეულის, ტანსაცმლისა და ლოცვის ადგილი სუფთა უნდა იყოს.

3. უნდა იყო აბდესიანი. შუამავალმა თქვა: ალლაჰი არ მიიღებს არავის ლოცვას თუ მას აქვს ჰადასი(აბდესი მომშლელი ფაქტორები) სანამ არ აიღებს ვუდუს. (ბუხარი 6954)

4. უნდა იდგეს ლოცვის დრო. რადგან ალლაჰმა თქვა:ლოცვა ევალებათ მორწმუნეებს განსაზვრულ დროს (ნისა 4:103)

5. ყიბლისკენ დგომა - ქააბას მიმართულებით. მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მუსლიმი ლოცვის დროს მექასკენ უნდა იყოს მიმართული. არსებობს სპეციალური კომპასები რომლებიც ქააბას მიმართულების პოვნაში დაგეხმარებათ.

6. როცა ღია ადგილზე ლოცულობ, წინ უნდა იყოს სუთრა რომ წინ არავინ გაგიაროს. სუთრა შეიძლება იყოს ხე, ქვა და ა.შ

ნაბიჯი 1
ხელები ისე აწიე რომ თითები იყოს ყურის ბიბილოს გასწვრივ და თქვი:
ალლაჰუ აქბარ
ღმერთი უდიდესია
اللهُ أَكْبَرُ
ნაბიჯი 2
ხელები კუჭის თავზე დაიდეთ, მარჯვენა ხელი დაადე მარცხენა ხელს და თქვი:
أَعُوذُ بِاللهِ مِنَ الشَّيْطانِ الرَّجِيم
ა'უზუბილლაჰი მინა შშაიტანი რრაჯიიმ
ღმერთს მივენდობი ჩაქოლილი ეშმაკისაგან

წაკითხე ფაათიჰა სურა




3
صِرَاطَ الَّذِينَ أَنْعَمْتَ عَلَيْهِمْ
غَيْرِ الْمَغْضُوبِ عَلَيْهِمْ
وَلا الضَّالِّينَ
آمِين
აამიინ


ნაბიჯი 4
პირველ და მეორე რაქაათზე ყურანიდან კიდევ სხვა აიათი ან სურა წაკითხე. მოკლე სურეები იხილეთ ბროშურის ბოლოს. მესამე და მეოთხე რაქაათზე, მხოლოდ ფათიჰა საკმარისია

ნაბიჯი 5
როცა კითხვას დაასრულებ, მდგომარე
პოზიციაში აწიე ორივე ხელი და თქვი
ალლაჰუ აქბარ
ღმერთი უდიადესია
اللهُ أَكْبَرُ
ნაბიჯი 6
მოიხარე წელში რუქუ'ისთვის და თქვი
سُبْحَانَ رَبِّيَ الْعَظِيم
X3
სუბჰაანა რაბბი ალ-'აზიმ
ჩემი ღმერთი უზენაესია
ნაბიჯი 7
როდესაც წელში გასწორდები, თქვი
سَمِعَ اللهُ لِمَنْ حَمِدَهُ
სამი'ალლაჰუ ლიმან ჰამიდაჰ
ალლაჰს ესმის, ვინც მას ადიდებს

ნაბიჯი 8

და ამ პოზიციაში თქვი:

رَبَّنا وَ لَكَ الْحَمْد

რაბბენა ვალაქალ ჰამდ
ღმერთო, დიდება შენ გეკუთვნის

ნაბიჯი 9

როცა სეჯდეზე წასვლას დააპირებ, თქვი

ალლაჰუ აქბარ
ღმერთი უდიდესია

اللهُ أَكْبَرْ

მნიშველოვანია: სეჯდეზე ყოფნისას დარწმუნდით რომ:
1. ცხვირი და შუბლი ეხება იატაკს.
2. ორივე ხელისგული იატაკზე გიდევთ და თითები ერთმანეთისგან დაშორებული არ არის.
3. ორივე მუხლი იატაკზეა.
4. ორივე ფეხის თითები გამართულია.

სეჯდეზე ყოფნისას თქვით:

X3

სუბჰანა რაბბი ალ-ა'ლა
ჩემი ღმერთი ყველაზე აღმატებულია

سُبْحَانَ رَبِّيَ الأَعْلى

ნაბიჯი 10

შემდეგ გასწორდით ამ პოზიციაში და თქვით:

ალლაჰუ აქბარ
ღმერთი უდიდესია

اللهُ أَكْبَرْ

ამ პოზიციაში დაჯექით მარცხენა ფეხზე, ტერფის გარეთა ნაწილი იატაკზე და შიგნითა ტერფის ნაწილზე დაჯექით. მარჯვენა ფეხის ტერფი ვერტიკალურ მდგომარეობაში გქონდეთ.

და თქვით:

رَبِّ اغْفِرْلِي

X2

რაბბი ღფირლი
ღმერთო მაპატიე

ნაბიჯი 11
შემდეგ ისევ სეჯდეზე მიდიხართ როგორც ეს აღწერილია ზემოთ და ამბობთ:
ალლაჰუ აქბარ
ღმერთი უდიდესია
اللهُ أَكْبَرْ
ამ პოზიციაში ყოფნისას თქვით:
X3
სუბჰანა რაბბი ალ-ა'ლა
ჩემი ღმერთი ყველაზე აღმატებულია
سُبْحَانَ رَبِّيَ الأَعْلى

მეორე ან ბოლო მუხლის შესრულება

ნაბიჯი 1
სეჯდის შემდეგ ან მეორე მუხლიდან როცა წამოდგებით, თქვით:
ალლაჰუ აქბარ
ღმერთი უდიდესია
الله أكبر
ნაბიჯი 2
შემდეგ ვკრავთ ხელებს, ვკითხულობთ ფაათიჰა სურას, და ვიმეორებთ ზემოთ ნასწავლ სიტყვებს და ვიმეორებთ სურათზე ნაჩვენებ მოძრაობებს.

STEP 3

ამის შემდეგ:

ალლაჰუ აქბარ

ღმერთი უდიდესია

اللهُ أَكْبَرْ

შემდეგ ვჩერდებით ამ პოზიციაში და ზემოთ ასწიეთ მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი და ვამბობთ:

3

التَّحِيَّاتُ لِلهِ والصَّلَواتُ والطَّيِّبات

ათ-თაჰიათუ ლილლაჰი ვა სსალავათუ ვატტაიიბათუ

السَّلامُ عَلَيْكَ أَيُّها النَّبِيُّ

ასსალამუ ალეიქა აიუჰენნებიუ

وَرَحْمَةُ اللهِ وَبَرَكاتُه

ვარაჰმათულლაჰი ვა ბარაქათუჰ

ხაბიჯი 4

السَّلامُ عَلَيْنا وَ عَلى عِبادِ اللهِ الصَّالِحِين

ას-სალამუ'ალეინა ვა 'ალა 'იბადილლაჰი სსაალიჰინ.

أَشْهَدُ أَنْ لاَ إِلَهَ إِلاَّ اللهُ

აშ-ჰადუ ანნა ილაჰა ილლა ლლაჰ,

وَأَشْهَدُ أَنَّ مُحَمَّداً عَبْدُهُ وَرَسُولُه

ვა აშჰადუ ანნა მუჰამმადან ‘აბდუჰუ ვა რასულუჰ

ასევე იკითხება ამ პოზიციაში:

ალლაჰუმმა ბარი 'ალა მუჰამმად, ვა 'ალა ალი მუჰამმად, ქემა ბაარაქთა ‘ალა იბრაჰიიმა ვა ‘ალა ალი იბრაჰიიმა, ინნაქა ჰამიდუმ მაჯიდ

მნიშვნელობა:

ღმერთო ბარაქა მიეცი მუჰამმადს, და მის ოჯახს, როგორ მიეცი ბარაქა იბრაჰიმს და მის ოჯახს, ჭეშმარიტად შენ დიდებული ხარ

ამ პოზიციაში ყოფნის დროს როცა კითხვას დაასრულებთ, ლოცვა მთავრდება თასლიმით (ე.ი მისალმებით)

და ასე სრულდება ლოცვა. რეკომენდებულია ლოცვის დასრულების შემდეგ ვედრების აღვლენა და ასევე სუნნას ლოცვები. ასევე რეკომენდებულია აზქარები (ალლაჰის ხსენება)

ყურანის მოკლე სურეები

სურა ქავსარ (108)

بِسْمِ ٱللَّهِ ٱلرَّحْمَـٰنِ ٱلرَّحِيمِ

ბისმილლაჰირ რაჰმანი რრაჰიიმ

إِنَّآ أَعْطَيْنَـٰكَ ٱلْكَوْثَرَ

ინნა ა'ტაინა ქალ ქავსარ

فَصَلِّ لِرَبِّكَ وَٱنْحَرْ

ფასალლი ლი რაბბიქა ვანჰარ

إِنَّ شَانِئَكَ هُوَ ٱلْأَبْتَرُ

ინნა შაანიაქა ჰუვალ აბთარ

სურა იხლას (112)

بِسْمِ ٱللَّهِ ٱلرَّحْمَـٰنِ ٱلرَّحِيمِ

ბისმილლაჰირ რაჰმანი რრაჰიიმ

قُلْ هُوَ ٱللَّهُ أَحَدٌ

ყულჰუვალლაჰუ აჰად

ٱللَّهُ ٱلصَّمَدُ

ალლაჰუ სამად

لَمْ يَلِدْ وَلَمْ يُولَدْ

ლემ იალიდ ვალამ იულად

وَلَمْ يَكُن لَّهُۥ كُفُوًا أَحَدٌۢ

ვალამ ია ქულლაჰუ ქუფუვან აჰად

სურა ფალაყ (113)

ბისმილლაჰირ რაჰმანი რრაჰიიმ

بِسْمِ ٱللَّهِ ٱلرَّحْمَـٰنِ ٱلرَّحِيمِ

ყულ ა'უზუბი რაბბილ ფალაყ

قُلْ أَعُوذُ بِرَبِّ ٱلْفَلَقِ

მინ შარრი მა ხალაყ

مِن شَرِّ مَا خَلَقَ

ვა მინ შარრი 'ასიყინ იზა ვაყაბ

وَمِن شَرِّ غَاسِقٍ إِذَا وَقَبَ

ვა მინ შარრი ნნაფასათი ფილ 'უყად

وَمِن شَرِّ ٱلنَّفَّـٰثَـٰتِ فِى ٱلْعُقَدِ

ვა მინ შარრი ჰაასიდინ იზა ჰასად

وَمِن شَرِّ حَاسِدٍ إِذَا حَسَدَ

სურა ნაას (114)

بِسْمِ ٱللَّهِ ٱلرَّحْمَـٰنِ ٱلرَّحِيمِ

ბისმილლაჰირ რაჰმანი რრაჰიიმ

قُلْ أَعُوذُ بِرَبِّ ٱلنَّاسِ

ყულ ა'უზუბი რაბბი ნნას

مَلِكِ ٱلنَّاسِ

მალიქი ნნაას

إِلَـٰهِ ٱلنَّاسِ

ილაჰი ნნაას

مِن شَرِّ ٱلْوَسْوَاسِ ٱلْخَنَّاسِ

მინ შარრილ ვასვასილ ხანნაას

ٱلَّذِى يُوَسْوِسُ فِى صُدُورِ ٱلنَّاسِ

ალლაზიუ ვასვისუ ფი სუდური ნნაას

مِنَ ٱلْجِنَّةِ وَٱلنَّاسِ

მინალ ჯინნათი ვა ნნაას